BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

მაისის თვის მნიშვნელოვანი თარიღები

აპრილი

29 აპრილი - 3 მაისი: სპორტის კათედრის კვირეული
23 აპრილი - 31 მაისი: სასკოლო ექსკურსიები
24 აპრილი - 14 მაისი: სადიპლომო პროგრამის სტუდენტთა გამოცდები

მაისი

2 მაისი - 23 მაისი: IGCSE-ს გამოცდები
3, 6 და 9 მაისი: ოფიციალური დასვენების დღეები
15 მაისი - 20 მაისი: თეატრალური დასის გასვლითი ღონისძიება ბირმინგემში
16 მაისი: მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვები ღონისძიება
17 მაისი: შავი ზღვის თამაშები
17 მაისი; დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა პიკნიკი
23 მაისი - 25 მაისი: გასვლითი ღონისძიება ტაო-კლარჯეთში, მეთერთმეტეკლასელთათვის
27 მაისი - 31 მაისი: დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ეთნო კვირეული
27 მაისი: DP-ს გლობალური პოლიტიკის კონფერენცია
28 მაისი: „ათინათის" დასკვნითი ღონისძიება

ძვირფასო მშობლებო

საინტერესოდ მიილია აპრილის თვე, საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ მოსწავლეები ბედნიერები დაუბრუნდნენ სასკოლო სივრცეს, აახმიანეს ისევ ჩვენი აკადემია და ახალი სიცოცხლე შესძინეს მას. ამ თვის განმავლობაში ჩვენმა მოსწავლეებმა თავი მრავალი კუთხით წარმოაჩინეს და უამრავი დასამახსოვრებელი დღე გვაჩუქეს. მოდით, თვალი გადავავლოთ ამ საინტერესო თვეს.
ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ საუნივერსიტეტო გამოფენას, უფრო მეტი გაეგოთ მათთვის სასურველი უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის შესახებ. ქართული ენის კვირეულის ფარგლებში კი ქართული ენის დეპარტამენტმა არაერთი საინტერესო ღონისძიება მოაწყო. საინტერესო ღონისძიება ჩატარდა აუტიზმთან დაკავშირებით, რომლის მიზანი საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება იყო. დატვირთული გამოდგა გამოცდების თვალსაზრისითაც, მე-10 კლასის მოსწავლეებმა ზეპირი გამოცდა ჰქონდათ ინგლისურ ენაში, ხოლო DP2-ის მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი ფინალურ გამოცდებს. გარდა ამისა, გაიმართა ლიტერატურული კონკურსის, ,,ათინათის," ფინალური ეტაპი და აღინიშნა დედამიწის დღე.

British–Georgian Academy

საინტერესო ამბები აკადემიის ცხოვრებიდან

ქართული ენის კვირეული

დედაენის დღესთან დაკავშირებით ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ კვირეული გამართა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები და ამ დღის ისტორიული მნიშვნელობა განიხილეს.
გარდა ამისა, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა აქტივობაში; კერძოდ, მე-10 კლასმა იმუშავა პროექტზე ,,ქართული ენის განვითარების ისტორია", რომელიც შემდეგ მე-6 კლასის მოსწავლეებს წარუდგინა. კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებს სამენტორო დროს ყოველდღიურად ჰქონდათ შესაძლებლობა, შეესრულებინათ ქვიზები, რომლითაც ცოდნის გაღრმავებასა და საკუთარი თავის შემოწმებას შეძლებდნენ.

უნივერსიტეტების გამოფენა

როგორც იცით, საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ყოველწლიურად ვმართავთ უნივერსიტეტების გამოფენას, რომელსაც აკადემიის მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებიან.

12 აპრილს მორიგ გამოფენას ვუმასპინძლეთ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 20 სასწავლო დაწესებულება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: მათ შორის იყო აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ლიეტუვის, შვეიცარიის არაერთი უნივერსიტეტი.

მე-9-მე-12 კლასის მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, გასცნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემას, უნივერსიტეტში ჩარიცხვის პირობებსა და პროცედურებს. უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა მათ კითხვებს საჭირო დოკუმენტებთან, დაფინანსების პირობებთან თუ და საუნივერსიტეტო ცხოვრების დეტალებთან დაკავშირებით ამომწურავად უპასუხეს. მსგავსი ტიპის ღონისძიებები მოსწავლეებს ეხმარება, საკუთარ მომავალთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღონ და უკეთ მოემზადონ შემდეგი აკადემიური ეტაპისათვის.



STEM ლაბორატორიის ინიციატივა

STEM ლაბორატორიის ახალი პროექტი მოსწავლეებს მომავლისთვის აუცილებელი უნარებით აღჭურვაში ეხმარება: პროექტის ფარგლებში ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, 3D ბეჭდვა და რობოტიკა შეისწავლონ. პროექტის მიზანია, მოსწავლეებმა ტექნოლოგიური ცოდნა გაიღრმაონ, რაც მათ მომავალში ინტეგრირებული პროექტების განხორციელებაში დაეხმარება. პროექტი 14 აპრილს დაიწყო და მისი ხანგრძლივობა ორი კვირაა.

ალმაატის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა სტუმრობა ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში

კულტურათაშორისი დიალოგის ფარგლებში ბრიტანულ-ქართულ აკადემიას ყაზახეთის, კერძოდ, ალმატის სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ. ისინი საქართველოს კულტურას, ისტორიასა და ტრადიციებს გაეცნენ და ჩვენს მოსწავლეებს საკუთარი ქვეყნის შესახებ უამბეს. ღონისძიების დასრულების შემდეგ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ბრიტანულ-ქართული აკადემიის მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად დაეთვალიერებინათ ჩვენი აკადემია. მოსწავლეები ერთმანეთთან დაახლოვდნენ და სხვადასხვა თემაზე მოსაზრებები გაცვალეს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ ვიზიტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

წიგნის კლუბის დაჯილდოება

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ინგლისურის წიგნის კლუბში ჩართულ მოსწავლეთა (II-V კლასი) დაჯილდოება გაიმართა. წაკითხული წიგნების რაოდენობის მიხედვით პატარა მკითხველები ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს სტატუსის მფლობელები ხდებიან. ამჯერად ვერცხლის სტატუსის მქონე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ და მათ შესაბამისი სამკერდე ნიშნები და სერტიფიკატები გადაეცათ. შეხვედრამ მხიარულად ჩაიარა — ბავშვებმა განსაკუთრებით იხალისეს ერთმანეთის ფოტოების ნახვით, სადაც ისინი სხვადასხვა უცნაურ გარემოსა თუ მდგომარეობაში კითხულობენ წიგნებს. ინგლისური წიგნის კლუბი მკითხველების განსაკუთრებულ მონდომებასა და ძალისხმევასაც არ ტოვებს აღნიშვნის გარეშე: მოსწავლეები ამ კატეგორიაშიც დაჯილდოვდნენ

ლიტერატურული კონკურსი „ათინათი“

დასრულდა ლიტერატურული კონკურსი „ათინათი,“ რომლის მიზანიც შემოქმედებითი წერით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენაა. დასკვნით ეტაპზე მოსწავლეებს შეთავაზებული ჰქონდათ ბრიტანულ-ქართული აკადემიის მე-12 კლასელი მოსწავლის, მარიამ ჭყოიძის, ნახატი, რომელზედაც შექმნეს სხვადასხვა საინტერესო შემოქმედებითი ესე. კონკურსის გამარჯვებულები მაისში გამოვლინდებიან, შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ შეხვდნენ მოწვეულ სტუმარს და დასვან მათთვის საინტერესო კითხვები.

საგაზაფხულო ექსკურსიები

აკადემიაში ახლა საგაზაფხულო ექსკურსიების სეზონი მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სხვადასხვა მარშრუტზე მიემგზავრებიან. მე-8 კლასის მოსწავლეები უკვე იმყოფებოდნენ მამკოდაში, საიდანაც აღტაცებულები დაბრუნდნენ. მომდევნო თვეში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის კიდევ რამდენიმე ექსკურსიაა დაგეგმილი. მსგავსი ღონისძიებების მიზანია მოზარდებში ისეთი უნარების განვითარება, როგორიცაა ორგანიზებულობა, დროის მართვა, როლების და პასუხისმგებლობების გადანაწილება, საზრიანობა და გუნდურობა.

IWAG-ის საგაზაფხულო ბაზრობა

14 აპრილს სასტუმრო პარაგრაფში საქართველოს ქალთა საერთაშორისი ასოციაციის საგაზაფხულო ბაზრობა გაიმართა. ბაზრობის შემეცნებით კუთხეში ბრიტანულ-ქართული აკადემია STEM აქტივობებით იყო წარმოდგენილი. აკადემიის სივრცე მთელი დღის განმავლობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ვიზიტორებში.

სპორტული სიახლეები

აპრილის თვე დატვირთული აღმოჩნდა სპორტული სიახლეების თვალსაზრისით:
17 აპრილს ჩატარდა ამხანაგური ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც ბრიტანულ-ქართული აკადემიის, BIST-ისა და გერმანულის კოლის U18 გუნდი მონაწილეობდნენ. ტურნირი ბრიტანულ-ქართული აკადემიის გამარჯვებით დასრულდა.
გარდა ამისა, ჩატარდა ფრენბურთის ამხანაგური მატჩი, რომელშიც BIST/BGA-ის გაერთიანებული გუნდი QSI-ის გუნდს დაუპირისპირდა.
26 აპრილს BIST/BGA-ის ვაჟების გაერთიანებულმა ფრენბურთის გუნდმა იასპარეზა ტურნირში, რომელიც სკოლა QSI-ში ჩატარდა. ამავე ტურნირში ჩაერთო BGA-ის გოგონების ფრენბურთის გუნდი.
ასევე გაიმართა მასწავლებლებისა და მოსწავლეების ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. სასიამოვნო სიახლეა ისიც, რომ მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებით დაკომპლექტებული ხელბურთის გუნდი თბილისის მერიის თასის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

ჯაუს ქულები

PIROSMANI 1960

TAMAR MEPE 1814

ILIA 1762

RUSTAVELI 1276